ოქტომბერი 31, 2023

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პარტია „ანა დოლიძე-ხალხისთვის“ წევრის ნინო წულაძის ანგარიში

2022 წლის 1 ნოემბრიდან 2023 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით

ნინო წულაძე

პარტია „ანა დოლიძე-ხალხისთვის“

ქ. თბილისი, თავისუფლების ქ. N2

პარტია „ანა დოლიძე-ხალხისთვის“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ნინო წულაძის მიმართვა

მოგესალმებით,

2022 წლის 1 აგვისტოდან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მე-7 მოწვევის საკრებულოში წარმოვადგენ მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებას „ანა დოლიძე-ხალხისთვის“ და თბილისის მოსახლეობას.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ამასთან ვარ ურბანული დაგეგმარების, საქალაქო მეურნეობისა და სატრანსპორტო კომისიის წევრი.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში გენდერულ საკითხებზე, არაპარტიული, რეალური სისტემური და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველყოფისა და ქალთა პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური გაძლიერების მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელების მიზნით, პარტია „ანა დოლიძე-ხალხისთვის“ ინიციატივით საკრებულოს სამმა ოპოზიციურმა პარტიამ, პარტია „ლელომ“ და პარტიამ „საქართველოსთვის“ ჩამოვაყალიბეთ ალტერნატიული გენდერული თანასწორობის საბჭო.

სტატისტიკური მონაცემები

- საკრებულოს სხდომებში მონაწილეობა
  - **2022 წელი 5 - სხდომა;**
  - **2023 წელი 11 - სხდომა**
  - **2022 წელი 7 ბიურო;**
  - **2023 წელი 13 ბიურო;**
  - **2022-2023 წელი სულ 115 - დადგენილება (განხილული)**
  - **2022-2023 წელი სულ 663 - განკარგულება (განხილული)**
- ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისია
  - **17 სხდომა;**
  - **205 საკითხი;**
- სატრანსპორტო კომისია
  - 3 სხდომა;
  - 3 საკითხი;
- ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისია
  - **18 სხდომა;**
  - **238 საკითხი;**

- გასული კორესპონდენციების რაოდენობა
  - **ნოემბერი 13;**
  - **დეკემბერი 21;**
  - **იანვარი 10;**
  - **მარტი 13;**
  - **აპრილი 8;**
  - **მაისი 12;**
  - **ივნისი 9;**
  - **ივლისი 3;**
  - **აგვისტო 5;**
  - **სექტემბერი 1;**
  - **ოქტომბერი 3;**
- სამუშაო ჯგუფისა და საბჭოს შექმნის ინიციატივა;
  - **საერთო ოპოზიციური 2023 წლის ბიუჯეტის შემსწავლელი სამუშაო ჯგუფი - 1**
  - **ალტერნატიული გენდერული თანასწორობის ოპოზიციური საბჭო;**
- შეხვედრები მოქალაქეებთან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში
  - **ინდივიდუალური შეხვედრა - 45;**
  - **სამუშაო შეხვედრა - 12**

საკრებულოს სხდომებში, კომისიებისა და ფრაქციების მუშაობაში მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია

2022 წლის 1 ნოემბრიდან, თბილისის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ფარგლებში, დავესწარი საკრებულოს 16 სხდომას;

საკრებულოს სხდომაზე რეგლამენტით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში ქალაქში მიმდინარე მწვავე და პრობლემური საკითხების გასაჟღერებლად გამოვიყენე პოლიტიკური სიტყვის, რეპლიკისა და კითხის დასმის ფორმატი.

- 2022 წლის 13 ოქტომბერს მომხდარი ვაკის პარკის უბედური შემთხვევის შემდეგ ჩანიშნულ სხდომაზე, პარტიამ „ანა დოლიძე-ხალხისთვის“ დავაყენეთ საკითხი თბილისში საჯარო სივრცეებში, რეკრეაციულ ტერიტორიებზე, სკვერებში, პარკებსა და ბაღებში ჩატარებულიყო დამოუკიდებელი, სერტიფიცირებული ექსპერტიზის განმახორციებელი ორგანოს მიერ, უსაფრთხოების აუდიტი. ამ აუდიტს უნდა მისცემოდა სისტემატური, განგრძობითი ხასიათი და ჩატარებულიყო ხუთ წელიწადში ერთხელ. ჩვენ

შეთავაზების სახით მოვუწოდეთ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოს აუდიტის განხორციელების პროცესში ჩაერთოთ სსიპ ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ბიურო. სამწუხაროდ, ერთი წლის თავზეც ჩვენ მიერ წარდგენილი საკანონმდებლო ინიციატივა და წინადადება განუხილველია და პასუხიც არ მიგვიღია უსაფრთხოების გეგმასთან დაკავშირებით თბილისის მერიისგან.

- ოჯახში ძალადობისა და ქალზე ძალადობის საკითხი ძალიან აქტიურად დგას მუნიციპალიტეტის დღის წესრიგში, სამწუხაროდ არსებული გენდერული თანასწორობის საბჭო პარტიული ნარატივის გამტარებელი ორგანო აღმოჩნდა, რომელსაც ან სულაც არ ჰქონდა რეაქცია საჯაროდ გავრცელებულ ოჯახში ძალადობის ფაქტებზე ან სულაც ნეიტრალურ, უმოქმედო მდგომარეობას ინარჩუნებდა. ასეთი იყო რამდენიმე ჟურნალისტის მიერ საჯაროდ პოსტ ტვ-ს ერთ-ერთი დამფუძნებლისა და ტელეწამყვანის, ქართული ოცნების პროპაგანდისტის შალვა რამიშვილის მხილება სავარაუდო სექსუალურ შევიწროვებაში. ცხრა დღის განმავლობაში დუმდა გენდერული თანასწორობის საბჭო, მხოლოდ საერთო ოპოზიციური მიმართვისა და ბრიფინგის შემდეგ გააკეთეს ზოგადი განაცხადი, რომელშიც, რა თქმა უნდა, არ ახსენებდნენ შალვა რამიშვილსა და წარსულში მის წინააღმდეგ მსგავსს საკითხთან დაკავშირებით გამოტანილ სასამართლოს გამამტყუნებელ განაჩენს.
- თბილისის მერის ყოველწლიური ანგარიშისთვის, მოქალაქეებთან გვქონდა წინასწარი კომუნიკაცია, შეხვედრები მათ მივეცით შესაძლებლობა ჩვენი დახმარებით დაესვათ ყველა ის კითხვა, რომელზეც პასუხების მოსმენა ქალაქის მერისგან აინტერესებდათ. ჩვენი ძირითადი ამოცანა იყო მერს გაეცა პასუხები ვაკის პარკის ტრაგედიასთან დაკავშირებით მერიის თანამდებობის პირთა პოლიტიკურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით. ამასთან დეტალურად აეხსნა მომხდარ უბედურებაში მერიის სამსახურის წარმომადგენელთა ტექნიკური დაუდევრობა.
- ავარიული სახლების პრობლემა მთელი წლის განმავლობაში პრიორიტეტი იყო საკრებულოში ჩვენი პარტიის მუშაობის პროცესში. განსაკუთრებით მერის ანგარიშის დროს კრიტიკული კითხვები დავსვით კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე ავარიულ შენობების რეაბილიტაციის გეგმაზე, რომელიც 2022 წლის დეკემბრის თვეში მუნიციპალიტეტს არ ჰქონდა.
- 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის პირველადი და მეორეული ვერსიების დასამუშავებლად პარტია „ანა დოლიძე-ხალხისთვის“ ინიციატივით, პირველად საკრებულოს ისტორიაში შევქმენით ბიუჯეტის საერთო

ოპოზიციური ჯგუფი, რომლის მიერ შემუშავებული რეკომენდაციებიც წარვუდგინეთ საფინანსო კომისიას. ჩვენ მიერ წარდგენილი არცერთი ოპოზიციური რეკომენდაცია არ გაუთვალისწინებია თბილისის მერიას.

- პასუხისმგებლიანი ახალი წელი იყო დეკემბრის სხდომის ძირითადი პოლიტიკური სიტყვის შემადგენელი ნაწილი, რომელიც გულისხმობდა პიროტექნიკის გამოყენების კონტროლს, კონკრეტულ ადგილებსა და სასაათო სარტყელში გამოყენების აკრძალვას, ასაკის კონტროლის გამკაცრებას, როგორც შეძენის ასევე გამოყენების ნაწილში და დამატებით, პიროტექნიკის კონტროლს აკუსტიკური ხმაურის გავრცელებათან დაკავშირებით.
- 2023 წლის 15 იანვარს ვაზისუბანში ამორტიზებული ლიფტის ჩამოვარდნის შემდეგ საზოგადოებამ აქტიურად დაიწყო საუბარი ლიფტების უსაფრთხოებასთან დაკავშირებით. ჩვენ ამ საკითხს ვლობირებდით ჯერ კიდევ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების პერიოდიდან, როდესაც ანა დოლიძე კენჭს იყრიდა დიდუბე-ჩუღურეთის დამოუკიდებელ მაჟორიტარობის კანდიდატად. ჩვენ თბილისის მერიასა და საკრებულოს შევთავაზეთ საჯარო-კერძო პარტნიორობაზე დაფუძნებული 3 პუნქტიანი ლიფტების მოდერნიზაციის გეგმა.
- რუსული კანონის პირველი მოსმენით საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებასთან დაკავშირებით საკრებულოს სხდომაზე დავარიგე სიმბოლური წითელი ბარათები, ქართული ოცნების დეპუტათა ლუსტრაციის მიზნით. რიტორიკული შეკითხვით, როგორ მოიქცეოდნენ ისინი პარლამენტის ქართული ოცნების წევრების ადგილას აუწევდნენ თუ არა წითელ ბარათს რუსულ კანონს, მათ შეინარჩუნეს სრული დუმილი, ვერცერთმა მათგანმა ვერ მისცა თავს უფლება პარტიული ნარატივისთვის გადაეხვიათ და წინ აღდგომოდნენ ანტიდასავლურ კანონის პროექტს.
- რუსეთთან ავიამიმოსვლის აღდგენა იყო ერთ-ერთი მთავარი ანტისახელმწიფოებრივი გადაწყვეტილება ქართული ოცნების მხრიდან, რომელსაც მივუძღვენი პოლიტიკური სიტყვა და გავიხსენე რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა ბოლო 30 წლის განმავლობაში.
- საქართველოში რუსეთის მოქალაქეების ჭარბი შემოდინების შემდეგ მოგვმართავდნენ მოქალაქეები შენობებზე რუსულენოვანი აბრების არსებობასთან დაკავშირებით. ერთ-ერთი ასეთი საინფორმაციო აბრა აღმოჩნდა თბილისის საკრებულოს ისტორიულ შენობაზე, რომლის შესახებ ინფორმაციის მოწოდებაზეც თბილისის მერიამ უარი განაცხადა. დემონსტრაციული აქტით

გადავხაზე თბილისის საკრებულოს შენობაზე რუსულენოვანი წარწერა და მოვითხოვე აბრის ჩამოხსნა, რაც დაკმაყოფილდა საკრებულოს მიერ.

- ზაფხულის პერიოდი თბილისში არსებული წყლების ტერიტორიაზე ტრაგიკული შემთხვევებით გამოირჩევა, რადგან თბილისის წყლებში არ არის უზრუნველყოფილი საკმარისი უსაფრთხოების ზომები, პატრული და საინფორმაციო ნიშნულები. ჩვენ კამპანია „იცურე მშვიდად“ ფარგლებში, რომელიც 2018 წელს დაიწყო ანა დოლიძემ და არასამთავრობო ორგანიზაცია პროგრესის ცენტრმა დავაყენეთ თბილისის წყლების, ტბებისა და ზღვის უსაფრთხოების გეგმა.
- ურბანული გენოციდი, რომელიც ქართული ოცნების გუნდმა ოფიციალურად გააფორმა თავისი პარტიული სამშენებლო ბიზნეს სუბიექტების სავარაუდო კორუფციული გეგმების აღსრულებით გამოიხატა ქალაქის საკვანძო ერთეულებში ურბანულად საზიანო გეგმარებითი დავალებებისა და განაშენიანების რეგულირების გეგმების დამტკიცებით. ამ ფაქტს მივუძღვენი პერფორმანსი „შეაყარე კედელს ცერცვი“ - სისტემა როგორც შეუვალი კედელი.
- დიდუბის გამზირის რეაბილიტაციისთან დაკავშირებით, თითქმის ყოველ კვირაში საათობით არ მიეწოდება წყალი დიდუბეში მაცხოვრებელ მოსახლეობას. ჯივიპის უპასუხისმგებლო პოლიტიკის დამსახურებით თბილისის თითქმის ყველა უბანში აღინიშნება წყლის პრობლემა და ამ საკითხზეც გავამახვილე ყურადღება პოლიტიკური სიტყვის ფარგლებში.
- მინიმალური ხელფასი ჩვენი პარტიის სავიზიტო ბარათია, ჩვენ წლების განმავლობაში ვითხოვთ სამარცხვინო თვიურო 20 ლარიანი სახელფასო განაკვეთის ღირსეული ხელფასით შეცვლას. თბილისის მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების ფარგლებში ჩვენ დავაყენეთ ინიციატივა სახელმწიფო შესყიდვებში ისეთი კომპანიებისთვის პრიორიტეტის მინიჭებაზე, რომლებთაც შიდა სამსახურებრივ განაწესში მოწესრიგებული ჰქონდათ ღირსეული ანაზღაურების საკითხი.
- ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი ითვალისწინებს დამოუკიდებელი აუდიტის ჩატარებას მუნიციპალურ ორგანოებში წელიწადში ერთხელ. გადაწყვეტილება მიიღება საკრებულოს მიერ, შესაბამისად, ჩვენი პარტიის ინიციატივით მოვითხოვეთ დამოუკიდებელი აუდიტორის მოწვევა და კორუფციის ხელშემწყობი სისტემების გამოვლენა მუნიციპალურ დონეზე.
- უფასო სასკოლო კვება თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში, რომელიც შესაძლებელია ნაწილობრივ დაფინანსდეს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არამიზნობრივი ხარჯების შემცირების ხარჯზე. ეს გახლდათ ერთ-

ერთი უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური საკითხი, რომელიც დღის წესრიგში დავაყენეთ და პარალელურად ვაწარმოეთ თბილისის საჯარო სკოლების იფრასტრუქტურული მონიტორინგი.

საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადებასა და ინიცირებაზე ინფორმაცია

- უსაფრთხოების აუდიტი - მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის დებულების ცვლილება
- უსაფრთხოების აუდიტი - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიებისა და დასასვენებელი ადგილების მოვლა-პატრონობის წესის ცვლილება
- წინადადება პასუხისმგებლიანი ახალი წელი
- წინადადება ამორტიზებული ლიფტების მოდერნიზების გეგმა
- საერთო ოპოზიციური ბიუჯეტის სამუშაო ჯგუფის შექმნა
- ალტერნატიული გენდერული თანასწორობის საბჭო
- ფარიხანუმ საფიევას ქუჩის სახელდება
- დამოუკიდებელი აუდიტორის მოწვევა
- უფასო სასკოლო კვება თბილისის სკოლებში
- ცხოველების მოვლა-პატრონობისა და მათი პოპულაციის მართვის წესის ცვლილება საკრებულოს დადგენილების ცვლილების პროექტი
- თბილისის წყლების უსაფრთხოება - პატრულირება საკანონმდებლო წინადადება
- ირაკლი ქემოკლიძის ქუჩს სახელდება
- გოჩა ჯაფარიძის ქუჩის სახელდება
- მინიმალური ხელფასი სახელმწიფო შესყიდვებში

ამომრჩეველთა მიღების, მათი წერილების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვის შესახებ ინფორმაცია

საკრებულოს წევრის მანდატის ფარგლებში საკრებულოში გავმართე 45 ინდივიდუალური შეხვედრა. შეხვედრების შინაარსი ძირითადად ეხებოდა სოციალურ-ეკონომიკურ, ურბანულ პრობლემებს და ადმინისტრაციულ ორგანოებთან თანამშრომლობის თხოვნებს.

ერთი წლის განმავლობაში საკრებულოს უფლებამოსილების ფარგლებში პარტია „ანა დოლიძე-ხალხისთვის“ წარმომადგენლის ნინო წულაძის სახელით გავიდა 98 სხვადასხვა შინაარსის სამსახურებრივი წერილი.



პარტია ანა დოლიძე - ხალხისთვის was live.

Dec 21, 2022 ·

საგზაო უსაფრთხოება ღრმაღელის მეტროსთან სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე

პარტია ანა დოლიძე - ხალხისთვის

Dec 15, 2022 ·

🔶 დღეს, პარტია "ანა დოლიძე-ხალხისთვის" გუნდის წევრები შევხვდით ფინანსური თაღლითობის მსხვერპლ მოქალაქეს, რომელიც წლებია იბრძვის თავისი წართმეული უფლებების აღდგენისათვის.
🔶 ჩვენ აქტიურად ვაგრძელებთ შეხვედრებს მოქალაქეებთან თბილისის საკრებულოში, იმისათვის რომ ერთობლივი ძალებით შევძლოთ კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველასთვის✊
#ესაუბრეხალხს
#ანადოლიძეხალხისთვის
#ბრძოლასაქვსაზრი



პარტია ანა დოლიძე - ხალხისთვის

Dec 12, 2022 ·

🔶 დღეს პარტია "ანა დოლიძე-ხალხისთვის" გუნდი ვიყავით ბარნოვის 8 ნომერში მდებარე უძველეს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე სახლში, რომელიც არის ავარიულ მდგომარეობაში და საჭიროებს გამაგრებას.
🔶 სამწუხაროდ, ავარიულობა გამოიწვია მომიჯნავე სამშენებლო პროცესებმა, რომელიც სრულიად უკონტროლოდ არის მიშვებული დღეს თბილისში.
🔶 მთაწმინდაზე განსაკუთრებით მრავლად გვხვდება ავარიული სახლები, რომელთა უმრავლესობასაც ძეგლის სტატუსი აქვს და კრიტიკულად მნიშვნელოვანია მათი დროული რეაბილიტაცია/გამაგრება.
🔶 პარტია "ანა დოლიძე-ხალხისთვის" გუნდი ჩავერთეთ ამ პროცესში და ბოლომდე ვიბრძოლებთ მოქალაქეებთან ერთად, მათთვის უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შესაქმნელად.
#ანადოლიძეხალხისთვის
#ბრძოლასაქვსაზრი
#ესაუბრეხალხს

პარტია ანა დოლიძე - ხალხისთვის
Dec 8, 2022 ·

🔶 პარტია "ანა დოლიძე-ხალხისთვის" წარმომადგენლობა საკრებულოში აქტიურად ვაგრძელებთ შეხვედრებს მოქალაქეებთან.

#ბრძოლასაქვსაზრი
#ანადოლიძეხალხისთვის

პარტია ანა დოლიძე - ხალხისთვის
Dec 6, 2022 ·

🔶 შეხვედრა ნაძალადევის რაიონში, ღრმაღელის ქუჩაზე მცხოვრებ ირინე ოდიკაძესთან, რომელიც გახლავთ კოოპერატივის დაზარალებული და წლებია უშედეგოთ იბრძვის საცხობრებლით დაკმაყოფილებისთვის.
🔶 პარტია "ანა დოლიძე-ხალხისვის" გუნდი ჩავერთეთ პროცესში და ვიბრძოლებთ ქალბატონ ირინესთან ერთად ✊
#ბრძოლასაქვსაზრი!
#ანადოლიძეხალხისთვის!

პარტია ანა დოლიძე - ხალხისთვის was live.

Dec 6, 2022 ·

კრწანისის ქუჩა: მოქალაქეებისთვის შექმნილი მორიგი დისკომფორტი

პარტია ანა დოლიძე - ხალხისთვის was live.

Jan 16 ·

მთაწმინდის რაიონში საცხოვრებელ სახლში გადასაადგილებელი ლიფტის მოწყობასთან დაკავშირებით

პარტია ანა დოლიძე - ხალხისთვის

Mar 25 ·

შეხვედრა ნუცუბიძის პლატოს 1-ლი მკ/რ-ის მოსახლეობასთან



პარტია ანა დოლიძე - ხალხისთვის

Apr 3 ·

🟠 სახელმწიფო კანცელარიასთან პრემიერ მინისტრთან შეხვედრის მოთხოვნით სამშენებლო კომპანია ათორის დაზარალებულების აქცია გაიმართა, ამ პროცესში პარტია "ანა დოლიძე-ხალხისთვის" თბილისის საკრებულოს გუნდი საწყისი წერტილიდან ჩართულები ვართ.

🟠 სამწუხაროდ, მეოთხე წელია მერია კონკრეტულ პასუხს ვერ ეუბნება მოქალაქეებს როდის გადაიჭრება სავარაუდო სამშენებლო თაღლითური სქემით დაზარალებული 300-მდე ოჯახის პრობლემა.

🟠 ბრძოლა გრძელდება და ჩვენ ვიბრძოლებთ მოქალაქეებთან ერთად ბოლომდე!

#ბრძოლასაქვსაზრი
#ანადოლიძეხალხისთვის



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: 03-032308944
თარიღი: 30/03/2023

აღრესატი:
ნინო ვარდოსანიძე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-სახელდებისა და სიმბოლოების კომისია-კომისიის თავმჯდომარე

მოგესალმებით,

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის 2023 წლის 24 მარტის სხდომაზე იმსჯელეთ ქუჩებისთვის სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე ქალების სახელის მინიჭების თაობაზე.

აღსანიშნავია, რომ ქალაქის ურბანულ გარემოში გენდერულად მგრძნობიარე პოლიტიკის გატარების მიზნით განიხილეთ თბილისში ათი ქუჩისთვის იმ ქალ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა სახელების მინიჭების საკითხი, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს სხვადასხვა სფეროს განვითარებაში და რომელთა ღვაწლიც გარკვეულად მივიწყებულია ფართო საზოგადოებისთვის.

კომისიაზე განხილულ ქალ მოღვაწეთა შორის არ აღმოჩნდა ფარი-ხანუმ სოფიევა, რომელიც გახლდათ პირველი არჩეული მუსლიმი ქალი დეპუტატი მსოფლიოში, თბილისის მაზრის ერობის წევრი ყარაჯალარიდან. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, სამხრეთ კავკასიაში გარდამავალმა ხელისუფლებამ ადგილობრივი ხელისუფლების რეფორმა დაიწყო, რომელიც მიმდინარეობდა ძმიმე პოლიტიკური ვითარების ფონზე, ხოლო საქართველოში რეალური ვითარება არ შეიცვალა იქამდე, სანამ ქვეყანამ დამოუკიდებლობა არ გამოაცხადა. 1918 წლის 26 მაისს, საქართველომ თავისი დამოუკიდებლობა გამოაცხადა, ამის შედეგად ქვეყანაში პირველი დემოკრატიული არჩევნები ჩატარდა. ამ დროს, ტიფლისის გუბერნიის ყარაჯალარის ოლქიდან, ფარიხან სოფიევამ ყველა დანარჩენ კანდიდატს აჯობა და არჩევნები მოიგო. ცნობილია, რომ ერობის წევრობისას მან მშობლიურ სოფელში რკინიგზის სადგურის აშენებას მიაღწია.

შესაბამისად, მოგმართავთ წინადადებით, თბილისში არსებულ რომელიმე ქუჩას გენდერული სპეციფიკისა და დამსახურების გათვალისწინებით მიენიჭოს ფარი-ხანუმ სოფიევას სახელი.

ნინო წულაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს წევრი

თბილისი, 0114, თავისუფლების მოედანი 2, ტელ: (+995 32) 2 15 93 93, sakrebulo.ge
Freedom square 2, 0114 Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 2 15 93 93; www.sakrebulo.ge

პარტია ანა დოლიძე - ხალხისთვის
Apr 3 ·

🟠 სახელმწიფო კანცელარიასთან პრემიერ მინისტრთან შეხვედრის მოთხოვნით სამშენებლო კომპანია ათორის დაზარალებულების აქცია გაიმართა, ამ პროცესში პარტია "ანა დოლიძე-ხალხისთვის" თბილისის საკრებულოს გუნდი საწყისი წერტილიდან ჩართულები ვართ.
🟠 სამწუხაროდ, მეოთხე წელია მერია კონკრეტულ პასუხს ვერ უუბნება მოქალაქეებს როდის გადაიჭრება სავარაუდო სამშენებლო თაღლითური სქემით დაზარალებული 300-მდე ოჯახის პრობლემა.
🟠 ბრძოლა გრძელდება და ჩვენ ვიბრძოლებთ მოქალაქეებთან ერთად ბოლომდე!
#ბრძოლასაქვსაზრი
#ანადოლიძეხალხისთვის



პარტია ანა დოლიძე - ხალხისთვის was live.
Apr 5 ·

პროტესტი ფონიჭალაში - ფეროშენადნობი ქარხნის მშენებლობასთან დაკავშირებით

პარტია ანა დოლიძე - ხალხისთვის was live.
Apr 10 ·

ტვერელის ტაძართან მიმდინარე სამშენებლო პროცესი და მოსახლეობის პროტესტი

პარტია ანა დოლიძე - ხალხისთვის was live.

Apr 29 ·

ვაშლიჯვარი - სარაჯიშვილის 36

პარტია ანა დოლიძე - ხალხისთვის

May 5 ·

პარტია ,,ანა დოლიძე-ხალხისთვის" გუნდი შეხვდა მიქელაძის 11 ნომრის მოსახლეობას, რომლებიც აპროტესტებენ მათი საცხოვრებელი კორპუსის მომიჯნავედ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობას. მოქალაქეთა თქმით დარღვეულია მთელი რიგი ტექნიკური პროცედურები, რომლებიც აზიანებს მათ კანონიერ ინტერესს.
ჩვენ ჩავერთეთ პროცესში საკრებულოს უფლებამოსილების ფარგლებში და ვიბრძვით მოქალაქეებთან ერთად✊

პარტია ანა დოლიძე - ხალხისთვის was live.

May 15 ·

ართვინის ქუჩა 67, დამჭერი კედლის სამშენებლო სამუშაოების შედეგად 2 მუშა გარდაიცვალა

პარტია ანა დოლიძე - ხალხისთვის was live.

Jun 1 ·

114-ე საჯარო სკოლა - სამშენებლო პროცესი

პარტია ანა დოლიძე - ხალხისთვის was live.

Jun 6 ·

აკუსტიკური ხმაურის პრობლემა თბილისში

პარტია ანა დოლიძე - ხალხისთვის

Jun 7 ·

🔴 მორიგი გამარჯვება ხალხისთვის!
🔴 კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულ ირინე ოდიკაძე/კაპანაძეს თავისი კუთვნილი ბინა დაუბრუნდა.
#ანადოლიძეხალხისთვის
#ბრძოლასაქვსაზრი

პარტია ანა დოლიძე - ხალხისთვის

Oct 16 ·

ლეხ კარინსკისნ 9 ისნის რაიონი ერთ-ერთი მაცხოვრებლის ბინა, კორპუსი 70 სმ-ით არის გადაზნექილი, მუნიციპალური ლაბორატორია მოდის და თვალით აფასებს ავარიულობის ხარისხს, რაც არის სრული სიგიჟე.
კორპუსს სჭირდება საფუძვლიანი ტექნიკური ექსპერტიზა, სამხარაულის ან სხვა აკრედიტებული ექსპერტიზის ბიუროს მიერ ჩატარებული.
ამის თანხები მოსახლეობას არ აქვს, ითხოვენ მუნიციპალიტეტისგან დაფინანსებას და რეაგირებას!
თბილისის მერია / Tbilisi City Hall
✊ ჩვენ ჩავერთეთ პროცესში და საკრებულოს მანდატის ფარგლებში ვიბრძოლებთ მოქალაქეთა უსაფრთხოებისთვის!



საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ფარგლებში სახელმწიფო და ადგილობრივ ორგანოებთან ურთიერთობის შესახებ ინფორმაცია

თბილისის საკრებულოს უფლებამოსილების ფარგლებში აქტიური კომუნიკაცია მიმდინარეობდა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, რაიონების გამგეობებთან, ურბანული განვითარებისა და ტრანსპორტის სააგენტოსთან, ამასთან თბილისის განვითარების ფონდთან, მუნიციპალურ ინსპექციასთან ლაბორატორიასა და ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოსთან.

გამგეობებთან კომუნიკაცია ძირითადად შემოიფარგლება შუამდგომლობებით, რაც მოიცავს ბინის ქირით უზრუნველყოფას, ჯანდაცვის მიმართულებით მედიკამენტებისა და ოპერაციების დაფინანსებას, ავარიული კორპუსის სამშენებლო ტექნიკური მდგრადობის შემოწმებას და ა.შ.

უფასო სასკოლო კვების პროგრამაზე მუშაობისას აქტიური კომუნიკაცია გვქონდა სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან.

ამასთან, ამორტიზებული ლიფტების მოდერნიზების გეგმის წარდგენის პროცესში ინფორმაციები გამოვითხოვეთ სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოდან.

კულტურული მემკვიდრეობის დაცულ ზონაში სარეაბილიტაციო პროცესების მიმდინარეობასთან დაკავშირებით კრიტიკული დარღვევების აღმოჩენის შემდეგ დღემდე გრძელდება კორესპონდენცია და საჯარო კომუნიკაცია თბილისის განვითარების ფონდთან, მოწვეული გვყავს სამუშაო შეხვედრაზე ურბანული კომისიის ფორმატში.

აქტიური კომუნიკაცია გვაქვს ჯანდაცვის სამინისტროსთან კონკრეტულად კი, დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოსთან.

მოგეხსენებათ, მოქალაქეებთან კომუნიკაციის პროცესში, ვლინდება საბინაო პოლიტიკასთან დაკავშირებული პრობლემები. შესაბამისად, ჩვენ ვევხმარებით მოქალაქეებს ადმინისტრაციულ ორგანოსთან კომუნიკაციაში, მოთხოვნის სწორი ფორმულირებით ჩამოყალიბებაში.

ნაყოფიერი თანამშრომლობა გვაქვს შენარჩუნებული საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან, რომელიც საჯარო ინფორმაციას მეტნაკლებად გონივრულ ვადებში

გვაწვდის. აღნიშნული საჯარო ინფორმაცია კრიტიკულად მნიშვნელოვანია ურბანული განვითარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის მუშაობის პროცესში.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარვუდგინეთ უფასო სასკოლო კვების პროგრამა თავისი ბიუჯეტითა და მუნიციპალიტეტის ჩართულობის გეგმით.

ასევე გამოვითხოვეთ სკოლებში არსებული ინფრასტრუქტურული პრობლემების შესახებ ინფორმაცია მაგ: საკვები ობიექტების რაოდენობა, რეაბილიტაციის მიმდინარეობა.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში გამართული სამუშაო შეხვედრები

შეხვედრა ნაძალადევის რაიონის, ცოდნე დადიანის ქ. N229 მაცხოვრებელთან, რომლის კორპუსი არის ავარიულ

მდგომარეობაში, თაღლითმა მშენებელმა დროულად არ დაასრულა სამშენებლო სამუშაოები და მოქალაქეები შესახლდნენ დაუმთავრებელ სახლში, შესაბამისად კორპუსი ექსპლუატაციაში არ არის მიღებული.

ალტერნატიული გენდერული თანასწორობის საბჭოს წარდგენა ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის.

ქვემო ფონიჭალის, კერძოდ გაგრის ქუჩის მოსახლეობის შეხვედრა ურბანული კომისიის თავმჯდომარესთან და კრწანისის გამგეობის წარმომადგენლებთან, საკითხი შეეხებოდა დასახლებულ პუნქტში ფეროშენადნობი ქარხნის მშენებლობის პროცესს.

ალტერნატიული გენდერული თანასწორობის საბწოს ფარგლებში შეხვედრა თბილისის კრიზისული ცენტრის ხელმძღვანელთან ინდირა რობაქიძესთან.

საიათნოვას N1 მოსახლეობის შეხვედრა საკრებულოში ურბანული კომისიის თავმჯდომარესთან.

შეხვედრა სკოლის მოსწავლეებთან.

- შეხვედრა ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს ხელმძღვანელთან
- შეხვედრა სამოქალაქო განათლების ლექტორთა პროექტის „სამოქალაქო ჩართულობის სკოლა 2023-ის მოსწავლეებთან.

- ლეხ კაჩინსკის 9 ნომრის მოსახლეობის მონაწილეობა ურბანული კომისიის საჯარო სხდომაზე.
- უფასო სასკოლო კვების კამპანიის მოხალისეთა ჯგუფთან შეხვედრა.



- გენდერული თანასწორობის საბჭოს ოპოზიციური წევრების სამუშაო შეხვედრა.

პარტია ანა დოლიძე - ხალხისთვის

Mar 28 ·

🟠 დღეს თბილისის საკრებულოში მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ოპოზიციური წევრების შეხვედრა გაიმართა, სადაც განვიხილეთ, ბოლო დღეებში გახმაურებული შალვა რამიშვილის მიერ ქალთა მიმართ განხორციელებული სავარაუდო სექსუალური შევიწროების ფაქტები და ვიმსჯელეთ სამომავლო გეგმებზე.

ბიძოცას ავკა ანბი